



თბილისი კაპიტალი

გლობალური ბაზრების ყოველკვირეული მიმოხილვა

4 მაისი 2026

რატი წიკლაური

უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

ალექსანდრე გველესიანი

უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

ნიკა კვაშალი

უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

მოკლე შეჯამება


მსოფლიო ბაზრების მიმოხილვა

	უკუგება (USD,%)	
MSCI აქციების ინდექსები	კვირა	YTD
აშშ	0.89	5.43
ევროპა	0.18	3.09
აზია (გარდა იაპონიისა)	(0.21)	13.95
იაპონია	0.19	9.84
განვითარებადი ბაზრები	(0.52)	14.03
მსოფლიო	0.93	5.50


ბაზრის პულსი

S&P 500-მა კვირის განმავლობაში 0.9% მოიმატა, ხოლო Nasdaq Composite-მა პარასკევის დასასრულს ახალ რეკორდს — 25,114-ს — მიაღწია. Dow Jones-მა 0.3%-ით დაიხია უკან. Brent-ის ნავთობი \$105-ის ახლოს დარჩა, ვინაიდან ირან-აშშ-ს ცეცხლის შეწყვეტა დაძაბულ ფაზაში გადავიდა, ხოლო ჰორმუზის სრუტე პრაქტიკულად დახურული რჩებოდა. კვირა Magnificent Seven-ის ანგარიშების ეპოქალური კვირით გამოირჩა: Alphabet-მა თითქმის 10% მოიმატა, Apple-მა iPhone-ის რეკორდულ შემოსავლებზე 3% გაიზარდა, Meta კი კაპიტალური დანახარჯების მკვეთრად გაზრდილი გეგმის გამო დაახლოებით 10%-ით დაეცა.

აქტივების კლასების უკუგება (კვირა)




აშშ-ის სექტორული უკუგება (კვირა)




კვირის მიგნება

ამ კვირაში ტექნოლოგიური გიგანტები — Google, Amazon, Microsoft, Apple და Meta — კვარტალურ შედეგებს აქვეყნებდნენ. შედეგები ძირითადად შთამბეჭდავი იყო, თუმცა ბაზრის რეაქცია ერთგვაროვანი არ გამოდგა. Meta-მ და Microsoft-მა მყარი შედეგები დააფიქსირეს, მაგრამ მაღალი ხარჯებისა და გამართლებული მოლოდინების არარსებობის გამო მათი აქციები დაეცა. Google Cloud-ის ზრდამ და დივიდენდის 5%-იანმა ზრდამ Alphabet-ს 10%-იანი მოგება მოუტანა, Apple-მა კი Q3-ზე ძლიერი შემოსავლების პროგნოზით ინვესტორები გახარა.



მსოფლიო ბაზრების მიმოხილვა




უკუგება (USD,%)				
წყარო: Bloomberg				
MSCI აქციების ინდექსები	1-კვირა	1-თვე	წლის დასაწყისიდან	1-წელი
აშშ	0.89	9.82	5.43	26.94
ევროპა	0.18	2.31	3.09	13.52
აზია (გარდა იაპონიისა)	(0.21)	11.58	13.95	38.55
იაპონია	0.19	3.05	9.84	39.11
განვითარებადი ბაზრები	(0.52)	11.14	14.03	41.31
მსოფლიო	0.93	8.30	5.50	25.50

კვირის მთავარი მოვლენები


- კვირა Magnificent Seven-ის ანგარიშებმა და ხელოვნური ინტელექტის კაპიტალური ხარჯების ციკლმა განსაზღვრა. Alphabet-ის თითქმის 10%-იანი ზრდა ხუთშაბათს — Google Cloud-ის 63%-იანი ზრდითა და წმინდა მოგების 81%-იანი ნახტომით განპირობებული ბრწყინვალე კვარტლის შემდეგ — საკომუნიკაციო სერვისებისა და ტექნოლოგიების სექტორების ფართო ლიდერობის კატალიზატორი გახდა.
- ენერგეტიკა კვირის ყველაზე სუსტი სექტორი აღმოჩნდა — ნავთობის ფასებმა გასული პიკიდან დაიხია, რადგან ირანმა ჰორმუზის სრუტიდან ნავთობის ექსპორტის დროებითი განახლების მზადყოფნა გამოხატა. ფინანსური სექტორიც ცუდად ივაჭრებოდა — აპრილის FOMC სხდომაზე ოთხი წევრის მოულოდნელმა განსხვავებულმა პოზიციამ საპროცენტო განაკვეთთან დამოკიდებული კომპანიების პოზიციები შეარყია, 30-წლიანი სახაზინო ობლიგაციების შემოსავლიანობა კი 2025 წლის ივლისის შემდეგ პირველად 5%-ს მიუახლოვდა.
- ევროპული საფონდო ბაზრები ამერიკულს ჩამორჩა — ენერგეტიკის სექტორის მაღალი წილი და მაღალი ნავთობის ფასების ინფლაციური ზეწოლა კონტინენტის ზრდაზე შემფოთებას ბადებს.

აქტივების ბაზრის მიმოხილვა

აქტივების კლასების კვირის უკუგება



აქტივების კლასების უკუგება წლის დასაწყისიდან დღემდე



წყარო: Bloomberg


გასული კვირის მნიშვნელოვანი ცვლილებები

- **Bitcoin-ის** ფასი კვირის განმავლობაში კვლავ გაიზარდა - კრიპტო ვალუტა სამშაბათს \$76,500, ხოლო პარასკევს \$80,000-ის ნიშნულთან ივაჭრებოდა.
- **აშშ დოლარის** ოდნავ გამყარდა - FOMC-ის განხილვამ და მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქებისადმი წინააღმდეგ რიგი წევრების გამოსვლამ საპროცენტო განაკვეთის შემცირების მოლოდინი კალენდარში უფრო შორს გადასწია.

გეოპოლიტიკა

პროექტი თავისუფლება

„პროექტი თავისუფლების“ გაშვების შემდეგ აშშ-ირანის მყიფე ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ყველაზე სახიფათო ფაზაში შევიდა. მას შემდეგ რაც დონალდ ტრამპმა ჰუმანიტარული მისია სოციალურ მედიაზე დააანონსა, ირანის პარლამენტის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტმა ჰორმუზის სრუტეში აშშ-ს ნებისმიერი ჩარევის მცდელობა წინასწარ ცეცხლის შეწყვეტის უხეშ დარღვევად დაახასიათა. ორშაბათს ირანის ძალებმა აშშ-ს სამხედრო გემებსა და გაერთიანებული არაბული საამიროების სამიზნეებს ესროლეს — აშშ-მ პასუხად ექვსი ირანული სწრაფი ნავი გაანადგურა. CENTCOM-ის მეთაურმა, ადმირალი ბრედლი კუპერი, ცეცხლის შეწყვეტის დასრულების კითხვაზე პასუხს გაუბოდა. დაძაბულობის ფონზე, ტრამპმა კონგრესს მიწერა, რომ 28 თებერვლიდან დაწყებული ომი „დასრულებულია“, თუმცა ჰორმუზის სრუტე პრაქტიკულად დახურული რჩება. პეკინში ვიზიტი მომდევნო კვირაში ოპერაციის ნებისმიერ ესკალაციას დამატებით დიპლომატიურ სირთულეებს მატებს.



მაკროეკონომიკა



აშშ-ში განაკვეთები ნარჩუნდება

ფედერალურმა რეზერვმა საბაზისო განაკვეთი 3.50%–3.75%-ის დიაპაზონში ზედიზედ მესამე სხდომაზე უცვლელად დატოვა — ეს ჯერ პაულის ბოლო სხდომა იყო თავმჯდომარის სტატუსით. გადანყვეტილება 34 წელიწადში ყველაზე მეტ განსხვავებულ ხმას მოიცავდა, რამაც ბაზრებზე მღელვარება გამოიწვია. ფედმა მაღალი ენერგეტიკული ინფლაცია და ახლო აღმოსავლეთის გაურკვევლობა ახლო ვადაში პოლიტიკის კურსის შეცვლის მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორებად დაასახელა. ბაზრებმა 2026 წელს განაკვეთის შესაძლო ზრდის ალბათობა ოდნავ გაზარდეს, 30-წლიანი სახაზინო ობლიგაციების შემოსავლიანობა კი 2025 წლის ივლისის შემდეგ პირველად 5%-ს გადაკვეთდა.

კვირის მიგნება

შედგების კვირა


ამ კვირაში მსოფლიოს ხუთმა უმსხვილესმა ტექნოლოგიურმა კომპანიამ — Google-მა, Amazon-მა, Microsoft-მა, Apple-მა და Meta-მ — კვარტალური ანგარიშები გამოაქვეყნა. შედეგები ფართოდ შთამბეჭდავი იყო — თითქმის ყველამ ანალიტიკოსების პროგნოზებს შემოსავლებისა და მოგების მხრივ გადააჭარბა. თუმცა ბაზრის რეაქცია მხოლოდ ციფრებით ვერ აიხსნება.

Meta-მ მოლოდინებს კომფორტულად გადააჭარბა, მაგრამ კომპანიამ ამ წლის ინფრასტრუქტურაში \$145 მილიარდამდე ინვესტიციის განზრახვა გამოჟღავნა — ინვესტორთა მოლოდინზე გაცილებით მეტი. კარგი ბიზნესი, ძვირადღირებული ამბიციები. Microsoft-მა მსგავსი ისტორია მოიტანა — ყველა ხაზში მყარი შედეგები, Azure Cloud 40%-ით ზრდა, მაგრამ მხოლოდ ამ გამარჯვებამ ინვესტორებს ვერ გააშხამა. Amazon-ის ძირითადი ბიზნესი და Cloud განყოფილება ორივე გამოიჩინოდა, თუმცა მომდევნო კვარტლის ბუნდოვანმა პერსპექტივამ ინვესტორები გააბნია.

Alphabet-მა და Apple-მა კვირის ნათელი ლაქების ფუნქცია შეასრულეს. Google-ის მშობელ კომპანიას მოგება თითქმის ორჯერ გადააჭარბა მოლოდინებს, Cloud-მა რეკორდული ტემპი დაამყარა, 5%-იანი დივიდენდის ზრდა კი განწყობას კიდევ უფრო გაუმჯობესა — ბაზარმა ენთუზიზმით უპასუხა და აქციები 10%-ით გაიზარდა. Apple-მა შემდეგ კვარტალზე ანალიტიკოსთა მოლოდინს გაცილებით მაღალი შემოსავლების პროგნოზი გასცა და თითქმის ყველა პროდუქტის სეგმენტში გადააჭარბა. ჩიპების ფასების ზრდა და Mac-ის დეფიციტი ერთადერთი შეშფოთების წყაროდ დარჩა, მაგრამ ინვესტორებმა ამ ფაქტორებს ყურადღება არ გაამახვილეს.



ზოგადი თემა ასეთია: ეს კომპანიები ძლიერად იზრდება, მაგრამ ხელოვნურ ინტელექტში კოლოსალურ თანხებს ხარჯავს — და ბაზარი ამ ხარჯების ანაზღაურებას ახლო ვადაში ელოდება.

შესანიშნავი შვიდეულის არაერთგვაროვანი ვაჭრობა





ბაზრის მამოძრავებლები

Alphabet (Google) კვირის მთავარი გამარჯვებული გახდა — ხუთშაბათს თითქმის 10%-ით გაიზარდა Q1-ის ანგარიშის შემდეგ, სადაც შემოსავალი \$109.9 მილიარდს, წლიურ ზრდაში 22%-ს, ხოლო წმინდა მოგება ორჯერ მეტს შეადგენდა. Google Cloud 63%-ით გაიზარდა — რაც სეგმენტისთვის ყველა დროის ყველაზე სწრაფი ტემპია.



Apple პარასკევს 3%-ზე მეტით გაიზარდა — ფისკალური Q2-ის ანგარიშმა შემოსავლების 17%-იანი ზრდა, iPhone-ის გაყიდვების 22%-იანი ნახტომი \$57 მილიარდამდე და \$100 მილიარდიანი აქციების გამოსყიდვის პროგრამა აჩვენა. CEO ტიმ კუკმა iPhone 17 Apple-ის ისტორიაში ყველაზე პოპულარულ ლინეიტად დაასახელა.

Meta დაახლოებით 10%-ით დაეცა. 2026 წლის კაპიტალური ხარჯების გეგმა \$145 მილიარდამდე გაიზარდა, \$135 მილიარდიდან, ძირითადად მეხსიერების კომპონენტების გაზრდილი ღირებულების გამო. Q1 შემოსავალი \$56.3 მილიარდი, წლიური ზრდა 33% და 41%-იანი საოპერაციო მარჟა ძლიერი იყო, თუმცა ინვესტორებმა სტაგნაციის მიმართ შიში გამოხატეს.



Microsoft ხუთშაბათს დაახლოებით 5%-ით დაეცა, მიუხედავად Azure Cloud-ის 40%-იანი ზრდის გადაჭარბებისა და \$37 მილიარდიანი AI-ის წლიური შემოსავლის ტემპის გამოქვეყნებისა. ინვესტორებმა ყურადღება კაპიტალური ხარჯების \$190 მილიარდიან გეგმაზე გაამახვილეს, რამაც 2022 წლის შემდეგ ყველაზე ვიწრო მთლიანი მარჟა გამოიწვია.

კვირის განრიგი

ორშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
---------	------------

სამშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
აშშ	• JOLT-ის ვაკანსიები

ოთხშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
---------	------------

ხუთშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
ავსტრალია	• სავაჭრო ბალანსი

პარასკევი

რეგიონი	ინდიკატორი
გერმანია	• სავაჭრო ბალანსი
აშშ	• უმუშევრობა

სიმბოლო	ტიპი
---------	------

PLTR	შედგები
VRTX	შედგები
WMB	შედგები
FANG	შედგები

სიმბოლო	ტიპი
---------	------

AMD	შედგები
HSBC	შედგები
ANET	შედგები
SHOP	შედგები

სიმბოლო	ტიპი
---------	------

ARM	შედგები
NVO	შედგები
DIS	შედგები
APP	შედგები

სიმბოლო	ტიპი
---------	------

SHEL	შედგები
MCD	შედგები
GILD	შედგები
MCK	შედგები

სიმბოლო	ტიპი
---------	------

ENB	შედგები
BAM	შედგები
UI	შედგები
AU	შედგები

სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის.

რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია.

დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დამუხმებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუთა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს.

მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებითი გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით.

თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შემთხვევის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელსაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შემთხვევის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე.



TBC CAPITAL

www.tbccapital.ge